ცნობის ფურცელი

№ 2323 პარასკევი, 14 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2323

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიები: ალ. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) ყველა ნაწერები და ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მან., 6 თვით—4 მან., 1 თვით—50 კაპ.	1 წლით—9 მან., 6 თვით—5 მან., 1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველთვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მან., 6 თვით—6 მან., 3 თვით—3 მან.	1 წლით—13 მან., 6 თვით—7 მან., 3 თვით—5 მან.

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც «ცნობის ფურცლის», ისე «მოამბის» მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ, პრემიად გაეგზავნებათ ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება გურიიდან. სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ.

გარდა ამისა «მოამბის» ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ წლის განმავლობაში

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა, ქალაქ-გარედ ხელის-მომწერლებმა პრემიის გასაგზავნად რედაქციას უნდა გამოუგზავნონ ფოსტის ხარჯად 55 კ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დამკვეთის მსურველთ, 25 დეკემბრამდე დაიკვეთონ, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію <Моамбе> и <Цнобисъ-Пурцели>.

პრემიები: ალ. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) ყველა ნაწერები და ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით.

წარ. 20, ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 16 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

და-ძმა

დრამა 5 მოქმ. 6 სურ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ვ. აბაშიძის საბენეფისოდ 18 ნოემბერს ახალი პიესა „ქმართა სკოლა“.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 14 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

რუსლან და ლიუდმილა

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა გლინკასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ლევინა, კარტავინა, კალინინა, ლელინა; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, ამირჯანი, სანგურსკი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 15 ნოემბ.—„სელსკაია ჩესტ“ და „პაიაცი“. (ნ).

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, ს ახლოკ ანტიპარმაკლიძისა. (20—6.—17)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ-, პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდუროვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ.

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—13)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაქისა. (წლ.)

გამგეობა ტფილისის სამარხ

კასსისა

აუწყებს თავის წევრთ გარდაცვალებასა ამავე კასსის წევრის ნატალია სვიმონის ასულის ედილაშვილისას და სთხოვს შემოიტანონ ხვედრი გარდასახადი **თითო მანეთი და ხუთი შაური** გამგეობის წევრ იოსებ მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“).

ვისაც ჰსურს ჩაეწეროს წევრად, აქვე მიჰმართოს. (4—3)

საზღვარ-გარედ

რუს ზღვაოსნებისა და იაპონელების შეტაკება

დეპეშებიდან მკითხველებმა უკვე იციან, რომ იაპონელებსა და რუსებს შორის ამას წინად ჩემულპოში შეტაკება მოხდა. „ტაიმს“-ში ამ შეტაკების შესახებ კორესპონდენციაა დაბეჭდილი. ჩემულპოს ქუჩებში დადიოდა თურმე 30 რუსის ზღვაოსანი, სამხედრო გემის „ბობრ“-იდან გადმოსული. ერთ ქუჩაში ამ ზღვაოსნებს შეჰხვედრიათ ჩინელი, რომელიც ხილსა ჰყიდდა. ვაჭრობას შესდგომიან, მაგრამ ფასის გამო ვერ მორიგებულან და ლაპარაკი მოსვლიათ. ამ დროს გაუვლია რუსულ ენის მცოდნე იაპონელს, რომელიც გაშველებას შესდგომია. რუსებს ცემა დაუწყიათ ამ იაპონელისთვის, რომელსაც რამდენიმე იაპონელი მიჰშველებია. ჩხუბის დროს რუსებს დაუჭრიათ 10 იაპონელი, აქედან სამი მძიმედ. ხმაურობაზე სხვა იაპონელებიც შეკრებილან და ძალზე დაუწყიათ რუსებისთვის ცემა. შეშინებული რუსები აქაიქ სახლებში შევარდნილან.

იაპონურ გაზეთის აზრი კორეიაზე

„ძი-ძი-შიმპო“-ში შემდეგია დაბეჭდილია, კორეიის შესახებ: „ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეები ამ ბოლო დროს მთელ თავის ყურადღებას იმას აქცევდნენ, რომ მახლობელ სახელმწიფოების ბაზრებში იაპონიას მაგრა მოეკიდა ფეხი. ამ მხრივ ყველაზე სარფა და სასარგებლო კორეია გამოდგა. ჩვენის გავლენით კორეია პროგრესის გზას დაადგა და დღითი-დღე წინ მიდის. ჩვენ მიერ დაწყებული ვაჭრობა-მრეწველობა სასარგებლოა როგორც ჩვენთვის, ისე კორეიელთათვის. დავაარსეთ ქარხნები და სავაჭროები, სადაც ურიცხვმა კორეიელმა სამუშაო იშოვნა. ამ ჟამად კორეიაში მხოლოდ 20,000 იაპონელი სცხოვრობს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ჩვენი ვაჭრობა კორეიასთან უდრის 20 მილიონ იენს. კორეიაში არის ჩვენ მიერ დაარსებული 20 სკოლა, რომელსაც მთავრობა წელიწადში 30,000 იენს სუბსიდიას აძლევს. დღითი-დღე ჩვენის მეოხებით კულტურა მტკიცდება კორეიაში და კორეიელები თანდათან ილვიძებენ ჩინურ ძილისაგან. კორეიის ნახევარი კუნძული ჩვენთვის დიდად საჭიროა თავის სტრატეგიულის მდებარეობით. სხვაფრივადაც საყურადღებოა კორეია: შეგვიძლიან იაპონიიდან გადავასახლოთ მცხოვრებთა გაჭირვებული ნაწილი“.

რუსეთის მტერი

ასე ეძახის თავის თავს იაპონიაში ახლად დაარსებული საზოგადოება „ტაი-რო დოსიკაი“, ანუ „ანტი-რუსეთის ასოციაცია“. ამ საზოგადოებაში მხოლოდ იმას იღებენ, ვინც თავს რუსეთის დაუძინებელ მტრად და მოძულედ აღიარებს. საზოგადოების მფარველად და სულის ჩამდგმელად პრინცი კანოე ითვლება. საზოგადოება მალ-მალ ჰმართავს მიტინგსა და კრებებს და ყოველთვის ცეცხლმფრქვეველ სიტყვებს ამბობენ რუსეთის წინააღმდეგ. ყოველ რეზოლიუციაში საზოგადოება აცხადებს, რომ დროა რუსეთს გავუმკლავდეთ, დროა მთავრობამ თავი გამოიდოს და ალაგმოს ჩვენი მოწინააღმდეგენიო.

ოსმალეთი და რეფორმები

რამდენს არ ემუქრებიან ოსმალეთს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის და მაკედონიაში რეფორმების შემოღებას არა სცდილობს. როგორც ვუწყით, ამას წინად, რუსეთისა და ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრებმა, მიურცშეგში მოლაპარაკების შემდეგ, გაუგზავნეს ბრძანება ელჩებს, სასტიკად მოსთხოვეთ ოსმალეთს რეფორმების განხორციელებაო. ელჩებმა მოსთხოვეს, მაგრამ ოსმალეთი, როგორცა ვთქვით, ხრიკებს იგონებს და რეფორმები მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი. სტამბოლში მინისტრებსა და წარჩინებულ ოსმალთ ყოველ დღე სხდომები აქვთ თურმე ამ საქმის გამო მოსალაპარაკებლად. ამბობენ, სტამბოლში ორი დასი გაჩნდაო. ერთში დიდი ვეზირი, გარეშე საქმეთა მინისტრი და ორიოდე სხვაა. ამათ უნდათ, ოსმალეთმა თანხმობა განაცხადოს და რეფორმების თადარიგი დაიწყოს. სამაგიეროდ სულ სხვასა ჰფიქრობს თვით ხონთქარი. იმის აზრით, ჯერ სახელმწიფოებს არც „ჰო“ უნდა ეთქვათ და არც „არა“, დავიცადოთ ჯერ კიდევ და ვიფიქროთო. ეს ხომ ძველი პოლიტიკაა ხონთქარისა და ოსმალთა დიპლომატებისა. ბევრნი ამბობენ, ეხლა ხონთქარი ასეთის ხრიკებით ფონს ველარ გავაო. იმასაც ამბობენ, ოსმალეთი ავსტრო-უნგრეთისაგან მალე ახალ ქაღალდს მიიღებს რეფორმების შემოღების შესახებაო.

როზანოს ანდერძი და სოციალისტები

3 ნოემბერს გაუხსნიათ ანდერძი მინისტრის როზანოსი, რომელმაც ამას წინად თავი მოიკლა. ანდერძი შედგენილია 1901 წელს და მხოლოდ ცვლილებებია შეტანილი 1903 წელს. მთელი თავის ქონება 500,000 მანეთი, მინისტრს ცოლისათვის დაუტოვებია. ეხლახან სოციალისტთა დასების მეთაურთ მილანში კრება ჰქონიათ. უნდა გადაეწყვიტათ მომავალ მოქმედების გეგმა. კრებამ დაადგინა, უფრო მხნედ იმოქმედოს სამინისტროს წინაამდეგ და ეცადოს საეკონომო და საფინანსო რეფორმების შემოღებას. რაც შეეხება როზანოს თავის მოკვლასა და იმ ბრალდებას, რომლის გამოც როზანომ თავი მოიკლა, კრებამ დაადგინა, ამის შესახებ პალატაში ჯერ-ჯერობით ლაპარაკი არ აღძრას.

გალიციის მცხოვრებთა სტატისტიკა

გალიციის საერობო კომიტეტის სასტატისტიკო ბიუროს შეუკრებია ცნობები გალიციის მცხოვრებთა შესახებ. როგორც ვიცით, გალიცია სხვა და სხვა ერით არის დასახლებული და ამ ერებს შორის ბრძოლაა უპირატესობის მოპოვებისათვის. ჯერ-ჯერობით გალიციაში პოლონელები ბატონობენ. ცნობები აღებულია 1900 წლის აღწერიდან. ეს აღწერა-კი პოლონელებმა მოახდინეს, ამიტომ ბევრ ბიუროს ცნობები საეჭვოდ მიაჩნია. ასე თუ ისე, 1900 წლის აღწერით, გალიციაში ყოფილა 7,315,929 სული მცხოვრები. აქედან პოლონელი ყოფილა 3,414,698 კაცი, მალოროსი—3,104,103 კ., ებრაელი—811,371 კაცი და გერმანელი—45,331 კაცი.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის **თავ. გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობის ბიულეტენი: „ტემპერატურა: დილით 38; დღისით 37,6; საღამოთი, ოფლის შემდეგ, 36,2; მაჯა 64. თვითგრძნობიერება კარგი აქვს. ძალ-ღონეზე გვარიანად არის. ანთება აღარ ვრცელდება. ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

13 ნოემბერს, საღამოს 8 ს.

◆ როგორც ბათუმის გაზეთი გადმოგვცემს, უწმ. სინოდს უკვე გადაუწყვეტია, **სვანეთი სოხუმის ეპარქიას შეუერთოს.**

◆ იგივე გაზეთი სწერს: „ამ ჟამად სოხუმის ეპარქიის ყველა ეკკლესიაში **წირვა-ლოცვა საეკკლესიო-სლავიანურ ენაზე სწარმოებს**. სამად-სამი მრევლია მხოლოდ, რომლის ეკკლესიებშიაც წირვა-ლოცვა ადგილობრივ ენებზეა“.

◆ ტფილისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ განიხილა ქალაქის საბჭოს დადგენილება **წყლის მილის გაფართოვების** შესახებ. საბჭოს განზრახული აქვს ავჭალასა და ტფილისს შუა წყლის მეორე მილი გამართოს, მოაწყოს ახალი ფილტრები და გამართოს მამა დავითსა და ხარფუხში ახალი აუზები. ამ საქმისათვის საჭირო ფულის, 215,000 მანეთის, გადადება საბჭომ შესაძლებლად სცნო მესამე საობლიგაციო სესხიდან, რომლითაც ახალი საყასბო უნდა აშენდეს. საკრებულომ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო წყლის მილის გაფართოვება და მოიწონა დადგენილება საბჭოსი 215,000 მან. გადადების შესახებ. ქალაქის მოურავმა თავ. არღუთინსკის პირადად განუმარტა საკრებულოს, რომ საყასბოს აშენება ჯერ ადრეა, ამიტომ ქალაქი მესამე საობლიგაციო სესხიდან აღებულ 215,000 მან. გაისტუმრებს მანამდე, სანამ საყასბოს შენება დაიწყება. საკრებულომ მოიწონა განმარტებანი მოურავისა და მოლაპარაკების შემდეგ დაადგინა ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად.

◆ ტფილისის კომერციულ ბანკის მმართველი **კ. მ. ალიხანოვი** ამ თვის 3 რიცხვს უმაღლესის ბრძანებით დაინიშნა ტფილისის ოლქის სასამართლოს საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ.

◆ დღემდის ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მოსამსახურეებს** დედისთვის სამგზავრო ბილეთები ეძლეოდათ უმოწმობოთ. ამიერიდან კი რკინის გზის გამგეობა აუწყებს მოსამსახურეებს, რომ ყოველთვის, როცა კი დედისთვის ბილეთები დასჭირდებათ, უნდა პოლიციის მოწმობა წარადგინონ, რომ მოსამსახურეს დედა ნამდვილად ცოცხალი ჰყავს.

◆ ქუთაისის საგუბერნიო გამგეობა აცხადებს, რომ ის მამულები **შორაპნისა და ოზურგეთის მაზრებში**, რომელთა პატრონებსაც $1^1/_2$ წლის განმავლობაში არ შეუტანიათ ხაზინაში სახელმწიფო საადგილ-მამულო, საერობო საადგილ-მამულო და $2^0/_0$ გადასახადები, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით.

◆ 6 ნოემბერს ფოთსა და ანაკლიას შუა, ნაბადაში, როგორც „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, ოთხ შეიარაღებულ კაცს **გაუძარცავს ფოთიდან მიმავალ** დილიჟანის მგზავრები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილი განცხადება **ხელოვნების გამავრცელებელ** კავკასიის საზოგადოების გამგეობისა, რომელიც დახმარებას სთხოვს ქალაქს. რადგან 1904 წ. სავარაუდო აღრიცხვა უკვე დამთავრებულია, გამგეობამ შეუძლებლად სცნო ამ თხოვნის დაკმაყოფილება და დაადგინა, სთხოვოს ქალაქის საბჭოს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს გადასდოს 300 მან. აღნიშნულ საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **შუშის ქალაქის** გამგეობას განუზრახავს, კონცესიით გასცეს ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ელექტრონით განათების საქმე. ადგილობრივ ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას, გაუგზავნოს სატეხნიკო პროექტი და სხვა ცნობები ქუჩების ელექტრონით განათების კონცესიით გაცემის შესახებ.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ იმპერატორის **პეტრე დიდის სახელი ეწოდოს** კუკიის საქალაქო სასწავლებელს.

◆ ქალაქის მიწის მზომელმა წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას ცნობები ნავთლუხის სადგურთან **ქალაქის მიწის მითვისების** შესახებ ომარაშვილის მიერ. ქალაქმა საჩივარი უნდა აღძრას ამ მიწის დასაბრუნებლად.

◆ როგორც ამიერ-კავკასიის **რკინის გზის** გამგეობას გადაუწყვეტია, ისინი, ვისაც საქონლის მატარებლით მოგზაურობის დროს მოასწრებენ, პოლიციას გადაეცემიან. ამასთან ფასი ორნაირი გადახდებათ მესამე კლასის ტარიფით.

◆ გუბერნატორმა განმარტება მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რა მიზეზით არ დაუმტკიცა ქალაქის მცხოვრებს სოლომონ მირთაძეს პროექტი 2 სართულიან სახლისა ნორიოს ქუჩაზე. მოურავმა აცნობა გუბერნატორს, აღნიშნულ პროექტის დამტკიცება შეაჩერა იმ გარემოებამ, რომ ის ადგილი, სადაც მირთაძე სახლს აშენებს, ქალაქის საკუთრებაა და მიუთვისებიათო. იმ საქმის შესახებ ცნობების შეკრების შემდეგ გამგეობამ ნება მისცა მირთაძეს, ააშენოს სახლი, მაგრამ ამასთან დაადგინა, საჩივარი აღძრას, რომ ჩამოერთვას მას მისაკუთრებული ადგილი.

◆ გუშინ, 13 ნოემბერს, ბ-ნ სარაჯიშვილის წარმომადგენელმა და ქალაქის დუქნების გამგემ ალიხანოვმა დაათვალიერეს საყასბოსთან საქონლის სადგომი, სადაც სარაჯიშვილმა უნდა მორეკოს და დააყენოს საკლავი საქონელი. როგორც აღვნიშნეთ, სარაჯიშვილმა პირობა მისცა ქალაქის გამგეობას, 2000 სული საკლავი საქონელი მორეკოს ტფილისში. სარაჯიშვილს ჩრდილო-კავკასიაში უკვე შეუძენია 2000 სული საქონელი.

◆ ტფილისის მე-7 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას გაჰგზავნოს ქალაქის ხუროთმოძღვარი მინკევიჩის ქუჩაზე მანდენოვის სახლის შესამოწმებლად, რომელიც დაძველებულა.

რუსეთის ქრონიკა

◆ „სევ.-ზაპ. სლოვო“ ბელოსტოკის პოლიცმეისტრის დაჭრის შესახებ იუწყება:

ფელეტონი

პაპას მსოფლიო ფიქრები

პაპამ ანდაზებით ლაპარაკი იცის: რაც ძველებს უთქვამთ, ერთი სიტყვაც არ ჩავარდება, სულ მართალიაო ამბობს იგი. კაცი უნდა დინჯი იყოს, რადგან „სიდინჯე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“ და მომთმენი, რადგანაც „მოთმინება კაი საქონელია“. ყოველი—ფიქრი, სიტყვა და აზრი რაც კი რომელიმე ანდაზას არ ეთანხმება, ფუქია, სიცრუეა. ამიტომ თავის ფიქრს და რჩევას უმცროსებისათვის სავალდებულოდ ჰხდის: „დედის წინ მორბინალს კვიცს მგელი შესჭამსო“.

მისი სიწყნარე და სიდინჯე, სხვაც რომ არაფერი იყოს, აქედანაც გამოიხატება: ერთის დღის სავალს სამი და ოთხი დღე უნდება. საფერხედ ჯორაი ჰყავ და ძალიანაც ეზოგება; სულ ფეხით დაუძღვება წინ და მინამ თითონ კარგად არ მოიღლება, არ შეჯდება ზედა. შეჯდება და ვაი იმ შეჯდომას, უნაგირზე კი არა, ეკლებზე ზის და წამ და უწუმ დუდუნებს: „მოვკალ ჯორაი, მოვკალ ამ ულმერთომ!“ და ჩამოუქვეითებს. ჯორამაც კარგად იცის პატრონის ხასიათი და ამიტომ ბევრს თავს არც ის იტკივებს. სწორედ კატის ნაბიჯით მიცოცავს ყურების ბარტყუნით. გაივლის პაპა ცოტაოდენს მანძილს და მოაძოვებს, რომ ჯორა არ შეწუხდეს, არ დამქლევდეს; ჯორი სძოვს ბალახს, პაპა კი გავას უსინჯავს, აათვალ-ჩაათვალიერებს რამდენი ხორცი მოაკლდა, მოადნა მის ჯორას, რათა დანაკლისი ისევ შეუვსოს შეპატიებით. პირუტყვი ძალიან ებრალება, რაც უნდა იყოს იგი: ცხენი, ჯორი, ხარი, ცხვარი, ძროხა და სხ. ამიტომ თითონ დასთმობს სიმშილს, ხოლო პირუტყვის სიმშილს ვერ აიტანს მისი გული... როცა ჯორა დასაპალნებული მოჰყავს ფშავისკენ კახეთიდან სულადით, ან ტულუხით (ღვინით), მაშინ მისი მოგზაურობა სწორედ კუს მგზავრობაა და სულ იმას ჰფიქრობს შეხვდეს ვინმე მგზავრი, რომ ბარგის ჩამოხდაში იშველიოს...

—გამარჯობა, ძმობილო!

— გაგიმარჯოს ღმერთმა!—ესმის პასუხად პაპას.

— მოდი, თუ ძმობა და ან ღმერთი გწამ, ე ჯორაის მოხდას მიშველე!

როცა ჯორას გაანთავისუფლებს პაპა, მაშინ ამოისუნთქებს თავისუფლად, თითქოს საპალნე იმას მოეხადა ზურგიდან და ვიდრე მისი საფერხე კარგა ფერდს არ გამოიღებს, მანამდე არც შედგება პაპა გზაზე. მეტი არ შეიძლება ისე გააზაქრებული და გარყვნილი და განაზებული ჰყავს. ციგნობა და ეშმაკობა პაპას ჯორას იმდენი შეუძენია პატრონის ხასიათის შესწავლით და დაკვირვებით, რომ ხან-და-ხან ავადმყოფად მოაჩვენებს თავს,—კვნესის და რაღაც ერთნაირად, საუცხოვოდ, ფრუტუნებს და ხრუტუნებს. „რა გაიგება, იქნება ავადაც გახდა,“ ამბობს პაპა: „პირუტყვია, რამდენჯერ შესცივდება, ან მოჰშივდება, მაგრამ ვერას იტყვის, უენა-პიროა და იმით, კაცს უნდა ჰქონდეს იმდენი ცნობა შეატყოს“... პაპაც იგებს ჯორას ავადობას, ხოლო უბედურება ის არის, რომ უკუღმა იგებს და ბევრჯელ მოტყუებული რჩება გაბატონკაცებულ ჯორაკაის მიერ.

პაპას ჭირივით ეჯავრება დუქანი, იქ ქეიფი და ფულების ხარჯვა, ნამეტნავად სასმელზე. თუ არ საჭირო საგნისთვის, როგორც, მაგალითად, მარილია, ნავთი და სხვა და სხვა, იგი ფეხს არ შესდგამს დუქანში. ჯავრობს პაპა და დუდუნებს თავისთვის: „ოჰ, ძმაო, ოჰ! ძალიან გალოთდა ხალხი, ძალიან,—მუცლები თავზე აქვ ჩამოცმული ეხლანდელს ხალხსა: თუ არ დაითვრა ეხლანდელი კაცი, თავი კაცად აღარა ჰგონია! ოჰ, ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ეხლანდელს ქვეყანას!“

ცოდვის ქნა პაპას ფრიად აშინებს,—აშინებს იმიტომ, რომ ღმერთი დამსჯის შვილებით ან შვილი-შვილებით, მოუკლავს ვისმე. დღეს ღვთისა და ხატისა მადლობელია, რადგან თითონაც ცოდვას ერიდება და ღმერთი და ხატიც უფასებს ამაგს და არავითარ ზარალს არ აძლევს არც კაცით და არც საქონლით. როცა პაპა მადლს რასმე შერება: გლახას გაიკითხავს, გაჭირვებულს უშველის, მაშინვე იმას ჰფიქრობს—ღმერთი დაინახავს, ის მე შემეწევაო. იგი მადლს მარცხენა ხელით ისე ვერ დასთესავს, მარჯვენამ არ გაიგოს. რაც მართალია—მართალია. ერთხელ, როცა პაპა ცხვარში დადიოდა თავის ჯელობაში, ჩობანი იყო, ამხანაგმა ძალიან შეაფიქრიანა. გეჯურა სრულიად სხვა ჯურის ადამიანი იყო. მთხოვარას არ გაიკითხავდა, გააგდებდა, თუმცა სიმდიდრით ბევრით, გაცილებით სჯობდა პაპას; ეტყოდა: „ღმერთსა აქვ ბევრი, წადი, ის მოგცემსო!“

— ცოდვაა, რად იცი, კაცო, ეგრე?.. აკი ყველა ღმერთს ვეხვეწებით?!.—უთხრა ერთხელ პაპამ გეჯურას.

— ნეტავი შენა, გამოგწყვეტია საქმე და ამბობ, რაც არ-არი იმას. ჰო და ღმერთს რო ვეხვეწებით, კიდეც ეგ არი. ზოგს რად აძლევს ღმერთი და ზოგს არა. ალბად, ვისაც არა აქვს რა, არც ღირსია ქონებისა. ღმერთმა ჩვენზე კარგა არ იცის, ვინც რის ღირსია, ჩვენ იმაზე წინ რად უნდა გავრბოდეთ, რად უნდა ვეწინაამდეგებოდეთ უფალსა?!

გეჯურას ფილოსოფიამ, ცოტა არ იყო, პაპა შეაფიქრიანა. მართლაც, იქნება ეგრეც იყოსო,—ჰფიქრობდა თავისთვის პაპა. თავი პაპამ ამ მაცდურ მიმართულებას იმ ფიქრით დაახსნია მხოლოდ, რომ ასე განსაჯა: გეჯურა კრიჟანგია... ღმერთი გვიწერს—საწყალი შეიბრალეთო. თუ სწყინს უფალს საწყალის, ბეჩავის შებრალება, ეხატრება ჩვენი თუ რა არი, განა ვერ გვიბძანებდა: მე ვინც გავაბეჩავე, თქვენ, კაცნო, ნუ შეიწყნარებთო?!. არაო, სთქვა მან, გეჯურავასით რომ ვიფიქროთ, მაშინ ცოდვასაც მადლად გადავაქცევთ, ცოდვასაც მადლი მოექვივნება. ბოლოს ასეც იფიქრა: ეხლა მეც წყემსი მიჭირავს, მე—აღა, ის წყემსი, მაშ ჯამაგირი აღარ უნდა მივცე?!. ფუ! არა, არ ვარგა ასეთი ფიქრი!.. ქვეყანა წაიწყმიდება, თუ კი შებრალება და შეწყნარება აღარ გვექნება ერთმანეთისა... მიჰყვება პაპა ისევ თავის გულისა და სინიდისის განაჩენს. მამაჩემსაც ასე ესმოდა ცოდვა-მადლი და მეც ასე უნდა მოვიქცეო, ჰფიქრობს იგი თავისთვის. „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსაო“.

ყისმათიანი კაცი ვარო, ჰფიქრობს პაპა თავისთვის: პური არ მაკლია, ღმერთო შენის ძალითა, ვინცა მყვანან, შვილები, შვილი-შვილები კარგადა მყვანან, არავინ მოჰკვდომია, საქონელიც საკმაო მყავს, დაილოცა ღმერთი, სხვა რა მინდა. არაფერს არ ვემდური ხატსა და ღმერთსა, ნეტავი სულ ასე ვიყო, მინამ ცოცხალი ვარ. სამი ვაჟი ჰყავს და სამივე დაქორწილებული. ცოლის თხოვის დროს ყველას ამ დარიგებას აძლევდა: პირ-ლამაზს კი ნუ ეძებთ, ბიჭო, სხვაფრივ იყოს დედაკაცი ლამაზი, არ იყოს გარყვნილი, არ იყოს ქურდი,—ავის ენისა... ხომ გაგიგონიათ: „თივა მთიბლების ნათიბი ირმების ნაგელარია; ცოლსა ნუ ეძებს ლამაზსა, ბევრის ყმის ნახელარია.“ თოვლიც ლამაზია, მაგრამ... და სხვა-და-სხვა.

„ქალს ნუ ჰკვლევ ხატობაშია: ტანთ ნათხოვარი აცვია, ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერის მკაშია“...

ღვთისა ძალით რძლებიც კარგები გამოადგა, არც სილამაზე აკლიათ და სხვაფრივაც შემკობილები არიან. ცისმარე დღეს ჯარასავით ტრიალებენ. ქმრებიც უყვართ, მაზლებიც, ერთმანეთიც, დედამთილ-მამამთილსაც დიდად პატივსა სცემენ. მუშაობა იმათი ხელობაა. მოდი და ღმერთს მადლობას ნუ შესწირავს პაპა!..

არც უჯილაგოები არიან პაპას რძლები, რადგან იგი თავდაპირველად ჯიშზე, ჩამომავლობაზე ეძებდა რძლებსა. ძველთაგან ასე ჰქონდა გაგონილი: „ჯიში იკითხე: ცხენი იყიდეო“;—„კვიცი ჯიშზე ხტისო“. „არ შეიძლება ჯიშმა არ მაჰზიდოსო თავისაკეო“, ამბობდა პაპა: „ცოლის შერთვა საბოლოვო საქმეა, ჩვენ არა ვართ უჯიშო ხალხი; უჯიშოს ნუ გაურევთ თავის გვარში: ზოგს თეოდორაიანობა მოუდის ჯიშად, სხვას ბნედა, ქურდობა, სიქაჩლე, უკბილობა და სხვა“. თავისი ოჯახი უმცროს-უფროსობის წესზე ჰყავს დაყენებული. უმცროსმა უფროსს უნდა გაუგონოს, ვინაიდან უფროსს მეტი ჭკუა აქვსო: „ვისაც უფროსის სიტყვა არ ესმისო, იმის ვენახს არ ესხმისო“. პაპა კარგად ჰგრძნობს იმას, რომ ზოგჯერ შეიძლება უმცროსის ჭკუა სჯობდეს ზოგი უფროსის ჭკუასა, მაგრამ ეს იშვიათად მოხდება, უფრო ხშირად უფროსების ჭკუაა გამოსადეგი, ამიტომ უპირატესობა იმას ეკუთვნისო. ზოგ შემთხვევაში პაპა სწორედ უკუღმართად მსჯელობს და თუ ზე-ზერ შეხედე მის მსჯელობას, უსათუოდ დაიწუნებ, უკეთუ ღრმად ჩაუკვირდი და ფესვებიდან გასინჯე, არ შეიძლება არ მოიწონო. ერთის შეხედვით მართლაც რა მოსაწონია ჩვეულებრივი, საყვარელი მისი ანდაზა: „ვირი რო ბატონადა გყვანდეს, აჩიობას ნუ ჰკადრებო!“ რატომ? ვირს მაშ რა უნდა ჰკადროს კაცმა თუ არ „აცეობა“, „აჩიობა“? მე და შენ, მკითხველო, ასე ვსჯით: ვირს, ჯერ ერთი, ბატონად ვერ მოვიხდენთ, ვერ გავიხდით, ვერც ვითვისებთ და თუ როგორმე დავვიდ-

როგორც ირკვევა, პოლიცმეისტრისათვის ორს ბოროტ-მოქმედს უსროლია. პოლიცმეისტერი დასდევნებია ერთს მათგანს, რომელიც ქუჩის შესახვევში შეჩერებულა და მესამედ უსროლია, შემდეგ შეურბენია ერთის სკოლის დერეფანში, საიდანაც ოთხჯერ უსროლია პოლიცმეისტრისათვის, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოუხვედრებია. პოლიცმეისტერსაც დერეფნისაკენ დაუცლია დატენილი რევოლვერი. მაგრამ რადგან დერეფანში ბნელოდა, ბოროტ-მოქმედი დამალულა და, საფიქრებელია, უვნებლადაც არის გადარჩენილიო. როგორც მეორე გაზეთის კორესპონდენტი იუწყება, მეორე ბოროტ-მოქმედი შორიდან უთვალთვალებდა, რომ საჭიროების დროს დახმარებოდა თავისს ამხანაგს. ამას შეუშლია ხელი ერთის პოლიციელისთვის, რომელიც დასდევნებია ბოროტ-მოქმედს დასაჭერად. გაქცეულს გზაში შეჯახებია ვითომ შემთხვევით და მაგრად დაუცია.

◆ პეტერბურგში ახალგაზდა ბელეტრისტების პატარა წრეს დაუარსებია „ამხანაგობა", რომელსაც მიზნად აქვს გამოსცეს „ამხანაგობის" წევრების ნაწარმოებნი ვაჭარ-გამომცემელთა დაუხმარებლად.

◆ როგორც „ბირჟ. ვედ."-ს კორესპონდენტი იუწყება, კიშინევში ოდესის სამოსამართლო პალატის სესიას 6 ნოემბრისთვის განსახილველად დანიშნული ჰქონია ყველაზე უფრო საინტერესო საქმე: განხილვა იმ მიზეზებისა, რომელთაც ებრაელების წინააღმდეგ არეულობა გამოიწვიეს. უპირველესი ადგილი დათმობილი აქვს იმის გამოკვლევას, თუ რა გავლენა იქონია გაზეთ „ბესსარაბეც"-მა, რომელმაც ებრაელების წინააღმდეგ მტრულის ქადაგებით მოამზადა ნიადაგი არეულობისათვის.

ლაპარაკი იყო აგრეთვე პასუხის გებაში მიეცათ ზოგიერთი ადგილობრივი ინტელიგენტიც, რომელნიც აღელვებდნენ ბრბოს ებრაელების წინააღმდეგო.

◆ როგორც „ბირ. ვ." იუწყება, პოდოლსკის გუბერნიის უშიცკის მაზრაში მძვინვარებს ქუნთრუშა, რომელიც მუსრს ავლებს ადგილობრივ მცხოვრებთ, მაგრამ საექიმო შველა და დახმარება არსაიდან არის. მოქმედება ერთის ექიმისა ასეთ დროს, რომელსაც 120 სოფელი აბარია, სწორედ წვეთია ზღვაშიო.

◆ საერო განათლების სამინისტროს აზრად აქვს, დედათა გიმნაზიებში რეფორმები მოახდინოს.

◆ როგორც „ვოსტ. ვ." იუწყება, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას ჩინეთის პროვინციების მოხელეებთან პირობა შეუკრავს რკინის გზის მახლობლად მდებარე ქვა-ნახშირის მადნების დამუშავების თაობაზე. ამ პირობის ძალით რკინის გზა კიდევაც შესდგომია მადნების დამუშავებას.

◆ „ვიტებ. გუბ. ვედ."-ში დაბეჭდილია ვიტებსკის გუბერნატორის განკარგულება, რომლის ძალით დაპატიმრებულ უნდა იქმნან ქ. ვიტებსკში მცხოვრებნი დრაბკინი, იაკერსონი, ბლიუდნიკოვი და გენინი სამ-სამის თვით, კერპელევი, პენინი, ფეიგელსონი და რუბენჩიკოვი—ორ-ორის თვითა და კვაკტუნი—4 დღით. ყველა ამათ ბრალდებათ ქ. ვიტებსკში პოლიციის ნება დაურთველად 31 ოქტომბერს კრების გამართვა.

სასამართლო

I

გუშინ, 13 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში მ. მ. შარიგინის თავმჯდომარეობით დაიწყო გარჩევა რკინის გზის სახელოსნოს იმ მუშების საქმისა, რომელთაც უწესოების მოხდენა და მოხელეთათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებათ. სხდომა საღამოზედ გათავდა და გადაიდვა დღეისათვის. საქმე ირჩევა ხალხის დაუსწრებლად. სასამართლოს განაჩენს თავის დროზედ ვაცნობებთ მკითხველებს.

II

5400 **მანეთის ქურდი**

გუშინ, **13** ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე გუმბრის მცხოვრების იაგორ საგათელოვისა, რომელსაც 5400 მანეთის მოპარვა ჰბრალდებოდა. 1902 წელს, 10 ივლისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის მე-9 ნაწილის უფროსი, ინჟენერი ალექსანდრე ფონ-ტრომპეტერი ჩამოსულა ქიურდამირიდან ტფილისში. ტფილისში შეიტყო თურმე, რომ ხაზინაში უნდა წარადგინოს 5000 მან., რომელიც ინჟენერს წინად გამოეწერა ვილაც მოიჯარადრეების დასაკმაყოფილებლად, თუმცა მოიჯარადრეებს არავითარი საქმე არ შეუსრულებიათ და, მაშასადამე, აღნიშნული ფული ინჟენერს მოეხმარა თავის საჭიროებისათვის. ორის დღის შემდეგ ფონ-ტრომპეტერს გამოუტანია საკომერციო ბანკიდან 5531 მან. 54 კაპ., რომლითაც ნდომებია ხაზინის ვალის გადახდა. 14 ივლისს რკინის გზის გამგეობაში შეუტყვია, რომ, მიუხედავად ფულის გადახდისა, იგი მაინც პასუხის გებაში იქმნება მიცემული. მეორე დღეს ინჟენერი „დვორცოვი ნომრები"-ს მე-5 ნომერში დამდგარა. 12 ივლისს ფონ-ტრომპეტერს ნომერში რევოლვერით თავი მოუკლავს. სასახლის ქუჩის კუთხეში მდგომ პოლიციელს, ოგოროდნევს, რევოლვერის ხმა გაუგონია, ასულა „დვორცოვი ნომრები"-ს პატრონ საგათელოვთან და უთქვამს, აქედან რევოლვერის ხმა გავიგონე და რა ამბავიაო. ამავე დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე ნომერში მისულა ინჟენერის სანახავად ტეხნიკოსი სემეიკო. სასტუმროში უთქვამთ, ინჟენერი შინ არ არის, სადღაც გავიდაო. მერე უთქვამთ, ინჟენერს სძინავსო. სემეიკოს მოუყვანია მსახური ალფეზ გორდეზიანი და დაურახუნებიათ კარები. რადგან შიგნიდან ხმა არავის გაუცია, წასულან. იმავე დროს სასტუმროს მოსამსახურეს ეკატერინე ალაბალოვს რაღაც თასმების გამოტანა ნდომებია მე-5 ნომრის საკუჭნაოდან. ქალის თხოვნით მსახური თოფურია წასულა და რადგან კარების რახუნის დროს პასუხი არავის გაუცია, მოუვლია მეორე კარებიდან, რომელიც დაკეტილი არ ყოფილა. როცა შევიდნენ, ჰნახეს გვამი მოკლულის ინჟენერის ფონ-ტრომპეტერისა. მაშინვე ეს ამბავი სასტუმროს პატრონის საგათელოვისათვის უცნობებიათ. საგათელოვს თან წაუყვანია თოფურია და დაუწყია მე-5 ნომერში სტოლზე ნივთების გადათვალიერება. რამდენჯერმე თოფურიას უთქვამს საგათელოვისათვის, წავალ, პოლიციას შევატყობინებ ამ ამბავსაო, მაგრამ საგათელოვი ამას ეუბნებოდა: „მოიცადე, მოიცადეო." მერე საგათელოვმა თოფურია გაჰგზავნა პუშკინის ბაღში ივანე სემეიკოს მოსაძებნად და თითონ იმავე მე-5 ნომერში დარჩა. თოფურიას გზაში ყოველივე უთქვამს შვეიცარის ფიცხელიშვილისათვის. იმავე კარებიდან გამოსულა ცოტა ხანს შემდეგ საგათელოვი. საგათელოვს მიუწვევია მე-5 ნომერში გორდეზიანი კარები დაუხურავს ისე, როგორც წინადაც ყოფილა, შემდეგ ორივენი გამოსულან მეორე ოთახში და აქ საგათელოვს უთქვამს გორდეზიანისათვის, არავის უთხრა, რომ მე პოლიციის მოსვლამდე იმ ნომერში ვიყავ, სადაც მოკლულ ინჟენერის გვამი ეგდოო. ასეთივე ბრძანება მისცა საგათელოვმა მსახურს თოფურიასაც. 7 საათზე სასტუმროში მისულა ტეხნიკოსი სემეიკოც, რომლისთვისაც ვითომ და გაკვირვებულ საგათელოვს უთქვამს, როგორ შეიძლება ამდენი ხანი ეძინოს კაცსაო. კარების რახუნი დაუწყიათ, მაგრამ ხმა არავის გაუცია. დაუძახნიათ პოლიციისათვის. როცა უბნის ზედამხედველი ვერშიგორი მისულა, საგათელოვს მისთვის არ უთქვამს, რომ მე-5 ნომერს მეორე კარიცა ჰქონდა, ამიტომ მოუწვევიათ ზეინკალი და იმის შემწეობით გაუღიათ ნომერი. გვერდის ჯიბეში ნახეს ფულად 131 მან. 60 კაპ., სტოლზე ნახეს შემდეგი წერილის პირი: „სტოლზე ვტოვებ საფულეს და შიგ ლურჯ ქაღალდის პაკეტში 5400 მანეთს, ხოლო ჯიბეში 130 მან. მსურს, რომ ეს ფული გადაეცეს რკინის გზის კონტროლს დაკლებულ ფულის შესავსებად". იქვე სტოლზე უნახავთ საფულე, მაგრამ შიგ ლურჯი პაკეთი აღარ აღმოჩენილა. პოლიციელმა გაჩხრიკა ოთახი და იქ მყოფნი, მაგრამ ფულიანი პაკეთი ვერსად იპოვნა. მეორე კარებს, საიდანაც წინად საგათელოვი შევიდა, შკაფი ედგა. ჩხრეკის დროს იატაკზე შეუნიშნავთ ხაზები შკაფის გაჩოჩებისაგან. როცა, პოლიციელის ბრძანებით, შკაფი გაუწევიათ, უნახავთ, რომ კარები ღია იყო. საგათელოვი ისე დაბნეულა, რომ ველარაფერი მოუხერხებია. გამოძიებით გამორკვეულა, რომ 28 ოქტომბერს საგათელოვს საკომერციო ბანკში შეუტანია 3019 მან. 31 კაპ. ყოველივე ამ საბუთების ძალით საგათელოვი პასუხის გებაში მიუციათ.

(დასასრული ხვალ)

III

კვაჭაძესა და გუჯაბიძეს, რომელნიც კავკასიის სამხედრო სასამართლომ დამნაშავედ იცნო ფოთის ხაზინის გაძარცვისთვის და რომელთაც გადაუწყვიტა: პირველს ჩამოხრჩობა, ხოლო მეორეს—უვადოდ კატორგაში გაგზავნა, განაჩენი განუსაჩივრებიათ უმაღლეს სამხედრო სასამართლოში.

დაბა-სოფლები

სოფ. ბალთა (კავკავის მაზრა). აქაურ ქართველებს ყველა იბრიყვებს. მებატონე, მამასახლისი, (ქისტი ჰყავთ), ოსები, ქისტები და სხვანი. ხანდახან აქ დარაჯად დაყენებული ყაზახებიც გაჰკრავენ ხოლმე

გა ასეთი ბატონი, ათასი წიხლიც რომ დაგვკრას, „აჩიობას" მაინც ვკადრებთ და მაინც. პაპა არა ჰკადრებს იმიტომ, რომ მას წიხლებისა ეშინიან, მას გრძნობა თავის თავის დაცვისა, შენახვისა ძლიერი აქვს. ღმერთსა და ხატსაც თავის სარგებლობის გულისთვის ეფერება: ცოდვა აშინებს, ცოდვის ქმნას ერიდება, ჰფიქრობს-რა ღმერთი დამსჯისო. დღეს თუ მადლობელია ღვთისა, ეს იმიტომ, რომ მას დაუფასდა კეთილ-სინიდისიერობა და პატიოსნება და შემდეგისათვისაც ღვთის მფარველობის იმედი აქვს. შვილებსაც ამას უქადაგებს: „არამს, ცოდვას ერიდეთ; ღმერთმა დალოცოს თავისი ალალის ოფლით ნაშოვარი და მონაგარი"! „ღმერთს რომ შეეხვეწებით, ეს უნდა სთხოვოთ: „ღმერთო, ის მაფიქრებინე, რაც ჩემთვისა სჯობდესო!" ძალიან კარგად ნათქვამია: „კაცს რო ღმერთი გაუწყრება, ჯერ გონებას წაართმევსო." მართალიც არის: საქმე გონებაა, უჭკუო, უგონებო კაცის საქმე სად თქმულა ან სად გაგონილა გამოსადეგი და თავს-მოსავალი?! საღი გონება ცხოვრების სწორე გზის მაჩვენებელია, ხოლო სნეული გონება (იგივე უგონებობა) მრუდე გზისა. „კაცის გაჯავრებას ერიდეთ, ვინც კაცს გააჯავრებს, ის ღმერთს გააჯავრებს". „როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ—ჯირითი შემოვისრიე, მეზობლის შეჩვენებასა, ისევ დათმობა ვირჩიე". ვაჟკაცობა ის არის, კაცმა მტერი მოკეთედ გაიხადოს, თორო მოკეთე რო გადაიმტეროს, ეგ არაფერი ბიჭობაა... „მოთმინება კაი საქონელია".

კაცის მოკვლის ამბავი პაპას თავზარსა სცემს. კაცმა კაცი როგორ უნდა მოჰკლას?! დიდი, დიდი, უდიდესი ცოდვაა. თუნდა დიდი დანაშაულიცა ჰქონდეს. იტყვიან, ესა და ეს კაი ბიჭია: ხუთი თათარი ჰყავს მოკლულიო. რაო ვითომ? თათარი კი კაცი არ არი, ადამიანი? იმას კი არა ჰყავს ცოლ-შვილი, არავინ აუტირდება შინა? ჩვენ რო ჩვენს მკვდარსა ვტირით, თათრები კი არა ტირიან?... თათრის დაწიოკებული ობლები კი არ თუ არიან შესაბრალისნი?!... კაცი სუ კაცია, რა რჯულისაც უნდა იყოს. ყველა ღვთის გაჩენილია, ყველა ღმერთს ეხვეწება და ემუდარება—ღმერთო მაცოცხლე და მაცხოვრეო! ჩვენ კი უნდა მოვკლათ?!... ფუუუჰ!...

— რად იცი ეგრე საუბარი, პაპავ,—ეტყვის მას თავისავე მეზობელი ბერიძე:—მაშ რა ვქნა, რო მპარავს. თუ ქურდი მე მკლავს, პირში სულსა მხდის, სულის საზრდოსა მტაცებს?!

— გაგტაცოს, წაიღოს—ერთი მგლის ვახშამი დიდი საქმეა? ნუ მოჰკლავ, გაისარჯე, ღმერთსა სთხოვე და ღმერთი მოგცემს. ერთისა და არა ათისა და ასის ცხვრის გულისთვის მაშ კაცი უნდა მოვკლათ!—უპასუხებს პაპა: მე არც მამიკლავს და არც მოვკლავ. ღმერთმა ჩემობალი ნურავინ გარიოს ადამიანის სისხლში. ულმერთოებმა შარშან ემანდ ურია მოჰკლეს, დიდი სახელი ჰქნეს არა? მოჰკლეს—ურიაა, ცოდვა არ არიო. აბა ვის რას უშავებდა საწყალი, დადიოდა თავისთვის, ერთორ შაურსა შოულობდა, არავის რას ართმევდა ძალით, არავის რასა სტაცებდა. ყველასთან თავ-დაბალი, ყველასთან საწყალი. აიღეს და მოჰკლეს. ღმერთი არ არი? მეტი-და ცოდვა იქნება?!

— ეე, ბიჭოთ,—ეუბნება პაპა შვილებს:—გზაში რო კაცი შეგეყაროსთ, ეცადენით „გამარჯობა" თქვენ დაასწროთ. რადა, იცით? იმით, რო ის „გაგიმარჯოსო", იმას გეტყვისთ და ღმერთიც გამარჯვებულებს გამყოფებსთ.

— ზოგ! რო გამარჯვება ღვთის რისხვად ეყრება?—მიუგებს პასუხად უფროსი ვაჟი ბესია.

— რა უყოთ: შეიძლება ზოგმა ბოდიშიც არ გადაიხადოს; სხვამ კიდეც გაგლანძღოს და გითხრას: ნეტავი შენ, საქმე არა გაქვსო. მაინც არაფერი უშავს, ნუ იწყენთ, შარს ნუ აუტეხთ. იმის მაგივრად ღმერთი გადაიხდის ბოდიშს, ის იტყვის: „გამიმარჯოს!" მაინც წაგებული არ იქნები და მაინც, უფრო მოიგებთ.—„მგზავრობაში ნუ დაითვრებით, დაგეძინებათ, ცხენს დაჰკარგავთ, ან ბარგსა, წყალში ჩაჰვარდებით, ან კლდეზე გადაჰვარდებით; მგზავრი ათასის ჯურისა დადის, ჩხუბი ვისთანმე მოგივათ,—ესეც კლდეზე გადავარდნა და წყალში ჩავარდნა არისო".

პაპას ყმაწვილების აღზრდისა საკუთარი მეთოდი აქვს და სადაც შემთხვევა მიეცემა, შინ თუ გარედ, ყველგან ამას ქადაგებს: „შვილი გაზარდე მტრულადა, მოყვრულად გამოგადგებაო". შვილს ნუ მოაშვევ, ნუ შეაციებ, უსამართლოდ ნუ მოექცევი; კარგი მოუწონე, ავი დაუგმე და თუ საჭიროა, დაკა კიდეც; კარგს, სასარგებლო ყოფაქცევას სიყრმითვე შეაჩვიეთ; უსაქმურობას ნუ დასჩვევთ; დილით ადრე ააყენეთ, უფროსის ხათრი ასწავლეთ, ყბედობას ნუ დასჩვევთ; რაცა გკითხოს, თუ იცით, ასწავლეთ, ცუდს მაგალითს ნუ აჩვენებთ, იმასთან ცუდს ქართულს ნუ დაჰხარჯავთ; ბალღი რასაცა ჰხედავს და რაც ესმის, იმასა სწავლობს. ბევრს ჭამას ნუ დააჩვევთ, ნუ ჩააცივდებით-კი, აქაოდა ეგება გავასუქოთო: შვილო, ჭამე, ჭამე, შენი ჭირიმეო". რიგზე აჭამეთ.—„მუცელს აქორებ—ქორია,—აღორებ—ღორიაო".

ბალღს უფროსისა ცოტა შიში თუ არა აქვს, გაირყვნება, გაფუჭდება, რადგან „ბალღს ისე არა აქვს ნამუსი, როგორც ძაღლსაო".

ზომიერს ცხოვრებას პაპა არა მარტო პატარაებისთვის ნდომობს, არამედ დიდებისათვისაც. ბუნების დაკვირვებამ ეს აცოდინა: „არ ვარგა არაფერი მოჭარბებული,—უწვიმოდ არაფერი მცენარე არა ხარობს", ამბობს იგი: „მაგრამ თუ მოსჭარბდა, ისიც ავნებს; აგრეთვე თუ უმზეოდ, მაგრამ თუ სულ მზე ჰხედავს და თავის რიგზე ნამიც არ მოჰხვდა, ყველა ჭირნახული ფუჭდება. წამალი ხომ წამალია, მაგრამ იმასაც თავის ზომაზე უნდა დალევა, თუ მოიჭარბა კაცმა, მოჰკლავს. მტრობა ხომ არ ვარგა გადაჭარბებული და არც კი სანაქებო სიყვარული: „დიდს სიყვარულს დიდი სიმძულვარე მოსდევსო", ნათქვამია. ყველაფერში ზომა, ზომაა საჭირო: „კაცი არ ვარგა უმტერო, არც მეტად მტერ-მორეული"-ო. მტერიც კი თავის რიგზე და წესზე საჭირო და გამოსადეგია.

— ე ქვეყანა რო ქვითკირის სახლებსა სჭიმავს, ჩვენც შევიძლოთ, ერთი-ორი ოთახი სუფთა დავდგათო,—ეტყვიან შვილები პაპას.

— ქვეყანას რა ყურს უგდებთ? ნათქვამია:—„სახლი გედგეს ფანჩატიო, შიგ რამ გედვას ფარსაგიო". ქვეყანამ ბუზმენტიანი ჩოხები და ვერცხლის ქამარ-ხანჯრებიც შემოილო: მერე, შიგ რა ყრია? „ქუდი მრუდია ციბალთი, შუშპარი შვენიერიო, რაცა აქვ ტანზე აკრია, შინ სახლი ცარიელიო". კოხტა-პრიზაობამ ეგრე იცის. თუ კი სახლი დაცარიელდება, ცარიელმა კედლებმა და ქამარ-ხანჯარმა რა მიშველოს?!. ვინც კოხტად იცომს, ის კოხტადაცა ჰფიქრობს, ცხოვრებას, წუთი-სოფელს კი კოხტაობა არ უხდება. კაცს საბოლოვო ფიქრი უნდა ჰქონდეს. ფულის უსარგებლოდ გაცემა პაპას დიდ მადლად მიაჩნია. თავი მოსწონს ამით, ჰფიქრობს თავისთვის: სარგებელი ფულში არავისთვის გამომირთმევია, მაშ ეს მადლი არ არის? ოღონდაც მადლია, ღმერთი დაინახავს ამას, დამიფასებს სიკეთეს და მისი გული სიამოვნებით გაიფართხალებს. ვინც ფულს დაესესხება, თუ აქვს, მისცემს, თანაც დაუყოლებს: „აჰა, წაიღე, როცა გექნება, იშოვნი, მომიტანე, ჩემი ჩამაბარე, შენი სარგებელი არ მინდა"...

ატყდება ყრილობის დროს ყაყანი; „არა, შენ მეტი და უკეთესი მამულები გიჭირავ და მე კი მაკლია". მოხდება ამაზე ლანძღვა-გინება, თავ-პირის მტვრევა.

—რაზე სჭამთ და ჰგლეჯთ ერთმანერთს, შვილო, სასაფლაოზე მაინც არ გაგივლიათ, არ გინახავთ რამდენი ხალხი წევს იქა? გაზომეთ თითო საფლავი და გაიგებთ მაშინ, მიწის გულისათვის ჩხუბს რაც ძალა აქვს. როგორც ისინი დაიხოცნენ, ისე ჩვენ დავიხოცებით და დედა-მიწა აქვე დარჩება; ჩვენ ცოდვისა და მადლის მეტი თან არაფერი გაგვყვება. ეს ნუ გავიწყდება, უნდა მუდამ გვახსოვდეს, თირო ჩხუბსა და დავიდარაბას არ მოვშლით ეგრე, კაცებო, ეტყვის პაპა დინჯად, აუჩქარებლად:—ჩვენი ბოლო სამი ადგილი მიწა და იმდენივე ადლი ტილოა. ეგ არი და ეგ!...

პაპას დიდ ცოდვად და სირცხვილად მიაჩნია აგრეთვე, რომ როცა ნათესავი ან მეგობარი ვინმე დაუზარალდება, იმ დროს არ მივიდეს, არ „მიჰხედოს". „მიხედვა" რა არის, როგორ გგონიათ? უნდა წირვის დროს მიიყვანოს ერთი საკლავი, ერთი ან ორი თუნგი არაყი, ერთი კელაპტარი, ერთი დიდი ფშაური ქადა და ერთიც ხმიადი. ყველა ამას აჰკიდებს თავის ჯორაკას და ამ სახით, ჯოხის ბჯენით, გამოცხადდება თავის მოკეთესთან. მოვალედ ჰრაცხს თავის თავს ასე მოიქცეს, რადგან უამისოდ იგი თავის თავს კაცად არ ჩასთვლის და ხალხის მხრივაც თითით საჩვენებელი გახდება. მოკეთის მიცვალებული იგივე საკუთარი მიცვალებულია და როგორც საკუთარს მკვდარს უნდა დამარხვა, ისე გარდაცვალებულს მოკეთეს. მივა პაპა და მიუტირებს; „რა ძნელი საქმე მოგივიდა, შე ჩემ-თავ მომკვდარო! ღმერთმა ნუ დაინანოს, ვისაც არ დაჰნანდი. ღმერთმა ზარალი ზარალად გაკმაროს, ვინც დაგრჩნენ, ღმერთმა ისენი გიცოცხლოს, ნუღარა ავი და ურიგო მოგარგინოს. სხვაფრივ ხომ აღარა გიჭირსთ? როგორა ხართო"?

მოკეთეც ბოდიშს გადაიხდის:—„ღმერთმა წყენა აჰხადოს თქვენს თავსა, ღმერთმა შვილები გიცოცხლოს. არა გვიჭირს. ცოცხლენი ვყრივართ, დღესნამდე ვათენ-ვაღამებთ!"

ჯორასაც ამასობაში მოტანილი ძღვენი მოეხსნება ზურგიდან. და... ხონჩით სუფრა გაჩნდება, ხელადით არაყი. ერთი მეორის სადღეგრძელო და მკვდართა შესანდობარი. ზედ სანელად დინჯი, დარბაისლური საუბარი გაიმშის სიკვდილ-სიცოცხლეზე, სააქაო-საიქიოზე და სხვა მრავალი.

აი ამ პაპას გონება იქამდე შეზღუდული აქვს, რომ დღესაც სჯერა და ჰგონია, რომ დედამიწა ვეშაპის ზურგზეა დაფუძნებული, მზე დაღისტნის იქით მთის უკან იმალება, დილით იქიდან ამოდის, საღამ-საღამობით კი იმერეთის მთას უკან იმალება.

ვაჟა-ფშაველა

ხეტს ქართველების ქონებას. ამას წინად აქ მცხოვრებმა ქართველმა მიხეილ ბუთხუზმა დაჰკარგა თხა. თურმე ნუ ბრძანებთ, თხა ყაზახებს დაეჭირათ ტყეში, დაეკლათ და ბუჩქებში დაემალათ. საღამოთი, ბინდისას, ყაზახები წავიდნენ თხის მოსატანად. ზასტაოს მცველებმა ეჭვი აიღეს და შორი-ახლო დაედევნენ. ყაზახები მივიდნენ, გამოიღეს დაკლული თხა და დაუწყეს ტყავება. ზასტაოს მცველებმაც ბევრი არ დააგვიანეს, მოულოდნელად თავს წაადგნენ და დაიჭირეს ყაზახები. ამის გამო მამასახლისმა შეადგინა ოქმი და სადაც საჭირო იყო გაჰგზავნა. იპარავენ აგრეთვე ქათმებს და წვრილ-ფეხა საქონელს.

ქართველი ოსებში.

სოფ. აბაშა (სამეგრელო). „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი ურჩევდა ამას წინად აბაშელებს მესამე სკოლის დაარსებას. აბაშაში ორის სასწავლებელია—ორ-კლასიანი სამინისტრო და ერთ-კლასიანი სამრევლო. იმისთანა პატარა სოფლისათვის, როგორიც აბაშაა (200—220 კომლია) ორ ასეთი სკოლის შენახვა დიდი ტვირთია. აბაშა ღარიბი სოფელია. ადგილის უქონლობისაგან მცხოვრებნი ძალიან შევიწროვებულნი არიან. გლეხი კაცი მთელი წლის განმავლობაში დაიმუშავებს ოთხ-ხუთ ქცევა ადგილს. მოხნავენ თავის ხარ-ურმით, ნახევარი მიწის პატრონს უნდა მიართვას, დანარჩენ ნახევრით გლეხმა ცოლ-შვილით უნდა გამოჰკვებოს, სახელმწიფო ბეგარა გადაიხადოს, მტერ-მოყვარეს პასუხი გასცეს და სხვა. წრეულს დიდის წვიმიანობისა გამო რასაც ელოდნენ, იმისი მეოთხედი მოსავალიც არ მოსულა.

ფილიმონ მელაძე.

ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა). აქეთ თითქმის ყოველ დღე ქურდობა-მტაცებლობა და თავს დასხმა ისმის. ღვინობისთვეში აი რამდენი ქურდობა მოხდა აქეთ: ლარსის სადგურთან შებინდებისას ერთს მოხევეს, ცხენის ურმით მიმავალს, რომელსაც მანდილოსანი ეჯდა ურემში, დაუხვდნენ ქისტები და მოინდომეს ცხენის წართმევა. მორთეს ყვირილი მეურმემ და მანდილოსანმა. ყვირილზედ მათ და იღბლად, მგზავრები წამოეწივნენ და ქისტები გაიქცნენ. სოფ. ჩიმში ჯამბოთა დუდაროვს დაბიძი-ესენოვს მოჰპარეს ჩვიდმეტი სული ხარ-ძროხა რომლის კვალიც მიდიოდა ქისტის სოფელ ჯაირახში. სოფ. ბალთაში მახმუთა დუდაროვს მოჰპარეს სამი ძროხა და ორი ხარი. ამავე სოფელში იბრიჰი-მადუდაროვს მოჰპარეს სამი ძროხა და ერთი ხარი. ბალთის ზასტაოს უფროსის თანაშემწეს კოლიევს მოჰპარეს ორი ძროხა და ერთი მოზვერი. ქისტები მოიპარავენ საქონელს, წაიყვანენ და დამალავენ სადმე. მერე მიდიან პატრონებთან და ეუბნებიან: „ამდენი და ამდენი მოგვეცი და გიპოვნით დანაკარგ საქონელსაო“. პატრონიც აძლევს გასამრჯელოს და ქურდიც დანიშნულ ალაგას გამოურეკავს ხოლმე და გაუშვებს საქონელს.

ქ. ო.

ბარის-ოსეთი. დადგება თუ არა შემოდგომა, მთის ოსებს ჩამოუდით ბარად ცხვარი ზამთარში გამოსაკვებად. დაბინავდებიან თუ არა საბრალონი, გაიკეთებენ ფარეხს და ისე მათზედ თარეშობას მოჰყვებიან ხოლმე ქისტებიც. აი, ახლაც, ღვინობისთვის შუა რიცხვებში, თერგს გაღმა დაესხნენ თავს საბრალო მეცხვარეებს, ქისტებმა გაირეკეს ათასხუთასამდე სული ცხვარი. ცხვრის კვალი მიიტანეს დახკელ ჯიათსა და ტოიყავაში.

ბარის-ოსებში სიმინდის მტვრევა გაათავეს, მშვენიერი ამინდიც დაუდგათ სიმინდის მტვრევაზედ. მშვენიერია სიმინდის მოსავალი და ძრიელ კარგი ღირსებისაც მოვიდა წელს ბარის-ოსებში. ახალი-სიმინდი 40—45 კ. ფასობს ჯერ-ჯერობით კავკავში.

აქაური

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ნოემბერი

პოტსდამი. 12 ნოემბერს შემდეგი ბიულეტენი გამოვიდა: „ყანყრატოში ოპერაციის შემდეგ დარჩენილი ჭრილობა მოურჩა, იმპერატორი მაინც უნდა უფრთხილდეს ლაპარაკს, სანამ განაჭერი ადგილი არ გამაგრდება. იმპერატორი ახლა ეზოში მასაჟით სწამლობს, თან ხმასაც ავარჯიშებს, და უსათუოდ რამდენისამე კვირის შემდეგ თავისუფლად შესძლებს ლაპარაკს“.

სირაკუზი. დილით აქ დიდი მიწის ძვრა იყო.

პარიზი. გაზეთები ამტკიცებენ „შერბურგის გაზეთის“ ცნობის სიმართლეს, რომ იტალიის მეფე-დედოფლის უკან დაბრუნების დროს რკინის გზის მცველ ერთ ჯარის-კაცთაგანმა ლიანდაგზე ხუთი დიდი ქვა დასდო, რაიც დროზე იქმნა შემჩნეულიო. ჯარის-კაცი დაპატიმრებულია და, ალბად, სამხედრო სასამართლოში იქნება მიცემული. ზოგიერთი მისი ამხანაგი ამბობს, რომ ჯარის-კაცი ცოტა ჭკუაზე შერყეული იყოო.

პეტერბურგი. სოფიის ოფიციალურ წყაროდან მივიღეთ შემდეგი ცნობა: „სოფიაში მთავრის გვარეულობის წევრთა შეკრებას რუსულმა გაზეთებმა მრუდე მნიშვნელობა მისცეს: ჰერცოგ გერცოგინა კლოტილდა, საქსენ-კობურგის პრინცები ფილიპე და ავგუსტი და პრინცი ავგუსტლეოპოლდი მოვიდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ მიულოცონ პრინცესა კლემენტინას სახელწოდების დღე. წელს ამ დღეს დიდის ამბით დღესასწაულობენ, რადგან მთავრის დედა ძალიან მოხუცებულია“.

პორტ-არტური. პეკინის მთავრობამ უბრძანა გენერალ მას, დარჩეს შანჰაიგუანში, სადაც ის უფროსობს 18 ათას ჩინელ ჯარის-კაცს.

პეტერბურგი. წყალმა დაფარა ადმირალტეისტვოსა და სასახლის ქუჩები და ნაბერეჟნი ქუჩის ნაწილი საზამთრო სასახლესთან. წყალი-ავიდა $9\frac{1}{2}$ ფუტამდე. ობვოდნი არხში წყალი ნაპირებზე გადავიდა; ეკატერინეს არხიც ადიდდა და ქუჩები წყლით დაფარა. მარიის მოედანი ტბას წარმოადგენდა; საზაფხულო ბაღი წყლის ქვეშ არის; 30 ხე ქარმა წააქცია; პრინც ოლდენბურგის სასახლის ქვედა სართული წყალშია; ვასილიევის კუნძულზე ყველა ქუჩები ტბას წარმოადგენენ; დიდ-ძალი ხალხი დაზარალდა. კუნძულებზე მრავალი ხე წააქცია ქარმა. საზოგადოთ საშინელი წყალდიდობა იყო; 1824 წლის შესანიშნავ წყალდიდობას გადააჭარბა.

ბუენოს-აირესი. როგორც გემ „ურაგვაის“ უფროსი იუწყება, ნორდენშილდის ექსპედიციის გემი „ანტარკტიკ“ დაუმტვრევია ყინვას ერებუსისა და ტერრორის სრუტეში. ნორდენშილდი მარხილით სამხრეთის 66 გრადუსამდე მისულა და ბევრი საყურადღებო მეცნიერული გამოკვლევა მოუხდენია.

კრონშტადტი. ღამით ქარი და ქარიშხალი მძვინვარებდა და დიდი ზარალიც მოიტანა. დაბალი ადგილები წყლით არის წალეკილი. ქალაქის განაპირა ადგილებში დაიღუპა ბევრი ოთხფეხი საქონელი და შინაური ფრინველი.

პორტ-არტური. 8 ნოემბერს დიდის ამბით ჩაუშვეს წყალში ნაღმიანი გემი „სტატნი“. ეს გემი უკანასკნელია იმ 12 საესკადრო ნაღმიან გემებიდან, რომელიც ნევის გემის-ამშენებელ ქარხანამ ააშენა. პირველი ექვსი უკვე სრულიად მზად არის საომრად. ქარხანამ დიდ გასაჭირს დასძლია ამ საქმის შესრულების დროს. მუშაობდა ჩინელ მუშებითა და ერთი მუჭა რუსი-ინჟენრებისა და ოსტატების დახმარებით. ჩინელთა რიცხვი 1,500-მდე ადიოდა.—მეფის მოადგილე პეტერბურგს 17 ნოემბრისათვის აპირებს წასვლას.—იაპონიასთან დიპლომატიური მოლაპარაკება საიდუმლოდ ხდება და იაპონიის გაზეთებში არავითარი ცნობა არ არის ამის შესახებ.

კიშინევი. პალატა დღეისთვის ჰფიქრობდა ებრაელთა წინააღმდეგ არეულობის პირველ საქმის გათავებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით 566 მოწმეთაგან 20 მოწმეს ჩამოართვეს ჩვენება.

პეტერბურგი. გუშინ საღამოთი ხელმწიფე დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს ტემპერატურა ჰქონდა 37,3; მაჯა 72. დღეს დილით ტემპერატურა 37,1; მაჯა 68. თვით გრძნობიერება საკმაოდ კარგი აქვს.

13 ნოემბერი

ვიბორგი. ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, შვეციის რკინის გზათა გამგეობამ წინადადება მისცა ფინლიანდიის რკინის გზათა გამგეობას იმის შესახებ, რომ საქონლის გადაცემა რეგულიარულად სწარმოებდეს შვეციის მხრივ სადგურ მორიარვისა და ფინლიანდიის მხრივ სადგურ ტორნეოს შორის.

სტამბოლი. ზინოვიევმა განუცხადა პორტას, რუსეთი და ავსტრო-ჰუნგრეთი ბეჯითად თხოულობენ, რომ რეფორმათა მოთხოვნები შეუცვლელად იქმნას მიღებულიო. ასეთივე პასუხი არის მიცემული ოსმალეთის მიერ პეტერბურგში ადძრულ მეცადინეობაზე, რათა რუსეთს შეეცვალა აზრი რეფორმათა შესახებ.

ფრანკფურტი მაინზე. დაარსდა საზოგადოება „კონია-ერეგლი-ბურგურლუ“, რომელმაც უნდა გაიყვანოს ბაღდადის რკინის გზის პირველი ნაწილი. თანხა—3 მილიონი მარკაა. ზედამხედველ კომიტეტის წევრებად არიან გერმანელები, შვეიცარიელები, ავსტრიელები და ფრანგები.

ათინა. მეფემ ვენაში ყოფნის დროს ურჩია ოსმალეთის ელჩს, არ ეწინააღმდეგონ რეფორმების სრულად განხორციელებას, რათა თავიდან აიცილონ საქმეთა გამწვავება.

სირაკუზი. მთელს პროვინციაში მიწის ძვრა იყო.

უაკსი (სპარსეთი). სპარსეთის სრუტეში, არაბეთის ნაპირას კრეისერ „არგონავტ“-ზე მოხდა დურბარი სანაპირო ადგილებში მცხოვრებთა წინამძღოლების თანადასწრებით. მეფის მოადგილემ მოაგონა მათ თავიანთი ვალდებულება, რომ არც ერთს სახელმწიფოსთან, გარდა დიდ-ბრიტანიისა დამოკიდებულება არ გამართონ და არ მიიღონ რომელიმე სახელმწიფოს რწმუნებული.

სოფია.*) საქმის კარგად მცოდნე წრეები უარს ჰყოფენ პორტას აზრს, ვითომ კომიტეტები ამზადებდნენ რაზმებს ოსმალეთის შესასევად და გარდახვეწილთ თავის წინანდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას უშლიდნენ.

---

*) ოპოზიციის წრეებიდან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ვარდისფერი
ბროლისებური **საპონი**
№ 4711

ამ საპონში **ბევრი გლიცერინია.**

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ
ყაირათიანია.

ვარდის საუცხოვო
სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთესოდ** ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულჰენსი
**კოლოკოლნაია № 4711 კელნსა
და რიგაში.**
(მც. 10.—4)

ქუთაისში
სამ. ი. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

**ტფილისის ქალაქის
გამგეობა**

იწვევს იმ პირთ, ვისაც ჰსურს იკისროს გრანიტის კუბიკების წარმოდგენა ქალაქის ქუჩების საუკეთესო სისტემით მოკირწვლისათვის, ამა წლის 1-ლ დეკემბრის დილის 12 საათამდის წარმოადგინონ გამგეობაში დაბეჭდილ კონვერტებში თავიანთი დაწერილებითი განცხადებანი იმ პირობების შესახებ, რომლითაც შეუძლიათ მათ იკისრონ ხსენებულ მასალის წარმოდგენა ქალაქის გამგეობის მიერ ნაჩვენებ ადგილებში მე-8, მე-9 და მე-10 საპოლიციო უბნებში. პირველად მოტანილი უნდა იქნას არა ნაკლებ 500 ოთხ-კუხი საჟენისა (200.000 თანა) არა უგვიანეს მომავალ წლის 1-ლ მაისისა. შემდეგი ვადები კუბიკების მოტანისა პირობებში უნდა აღნიშნონ, ხოლო სავალდებულოა, რომ მომავალ წლის 1-ლ ოქტომბრამდე მოტანილ იქნას 1500 ოთხკუთხი საჟენი (500.000 თანა). საზოგადო ტეხნიკურ პირობებისა და აგრეთვე სხვა პირობების შეტყობა და მიღება შეიძლება გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში, ქუჩების მოკირწვლის კომისიის კანცელარიაში, ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე. განცხადებები მიიღება მხოლოდ დაწერილი და კონვერტებში დაბეჭდილი ზედ-წარწერით: „Къ конкуренціи на поставку матеріаловъ для новаго мощенія г. Тифлиса“. განცხადებებში დაწვრილებით უნდა იქნას აღნიშნული: 1) სად იქნება მოტეხილი გრანიტი და რა ხარისხის იქნება და 2) რა ეღირება მოტანით 1000 თანა კუბიკი.

ის მოიჯარადრეები, რომელთ დაეკისრება მასალის მოტანა, მოვალენი იქნებიან, 15 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შეატყობინებენ, შეიტანონ გამგეობაში ბე; ამისთვის განცხადებებში უნდა იქნას აგრეთვე აღნიშნული რამდენს წარმოადგენს მოიჯარადრე ბეს აღებულ საქმის რიგიანად ასრულების უზრუნველყოფისათვის.
(ნ. 3—1)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

პარასკევს, 5 დეკემბერს, 1903 **წ.** „ტფ. კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება
საცეკვაო საღამო
საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებით; მონაწილეობას მიიღებენ არტისტები და მუსიკის მოყვარულები. შემოსავალი გადაიდება **ხელმწიფე იმპერატორის** მფარველობის ქვეშე მყოფის **ზემოავჭალის სამიწათ-მოქმედო და სახელოსნო კოლონიის** საშუალებათა გასაძლიერებლად.

დარბაზის **დეკორაციები**—ა. ო. ნოვაკისა. **კიოსკები**—ნ. ო. ნოვაკისა და კოლონიის მოწაფეთა. **გამოფენა** მოწაფეთა ნაწარმოებისა.

ანტრაქტებში დაუკრავს კოლონიის მოწაფეთა ორკესტრი. დაწვრილებით იხ. აფიშებში.

შესვლის ფასი (საქველმოქმ. გადასახადით) 2 მ. 10 კ.; პრემიებს მადლობით მიიღებენ. საკონცერტო განყოფილება დაიწყება $8\frac{1}{2}$ ს., ცეკვა—$10\frac{1}{2}$ საათზე. სამხედრო მუსიკა. გულ-ამოჭრილი კაბა და ფრაკი სავალდებულო არ არის.

საღამოს დიასახლისი **უგ. კნ. თ. დ. გრუზინსკისა.** გამგე **ა. ს. ფრენკელი.**

ბილეთები იყიდება: კოლონიის საზოგადოების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედ. ქ. № 33), ა. პ. მირონოვიჩთან და მ. დ. მელიქოვთან (სასამართლო პალატა), მ. გ. მუატთან (საოლქო სასამართლო), მომრიგებელ მოსამართლეებთან და ნოტარიუსებთან, ლოტის საკონდიტეროში და ტფილისის კრუჟოკში“.
(უ. 4—3)

ტფილისის ვაჭართა მამასახლისი
სთხოვს ბ.ბ. ვაჭართ ქალაქ ტფილისისა მობძანდნენ
საზოგადო კრებაზე,
რომელიც დანიშნულია კვირას, 23 ნოემბრისათვის, დილის 11 საათზე, ვაჭართა **მამასახლისის კამერაში,** სოლოლაკი, ლერმონტოვის ქუჩა, № 12. ეს კრება ინიშნება ნაცვლად 9 ნოემბერს დანიშნულისა და არ შემდგარის კრებისა.

განსახილველი საქმეები:

1) ტფილისის კომერციულ სასწავლებლის ანგარიშის განხილვა; ანგარიში ეხება სასწავლებლის არსებობის მეორე წელს, 1901—1901 სამოსწავლო წელს;
2) ტფილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ ოთხის წლისათვის ამა 1903 წლიდან.
(1—1)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741
**სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობისა
იყო და არის**

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გააიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

Дозв. ценз. Тифлисъ 13 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის, (Электропеч. Груз. Изда.л Т—ва.)